დანართი №1

შპს „ეკომი“ ტელეკომპანია „ლტვ“-ს

ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმის

თავისუფალ რესურსთან დაშვების

შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ლაგოდეხი

1 აპრილი 2019 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია შპს „ეკომი“ სამაუწყებლო კომპანია „ლტვ“-ს მულტილექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ოფერტის თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

ლაგოდეხის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლის ოფერენტის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოებს DVB-T (EN 300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDOM:8k,64 QAM, Coding rate:2/3, Guard interval: 1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ წამისა:

1.1. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ლაგოდეხი, ზაქათალას ქ#29;

1.2. ექსეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე;

1.3. ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (SD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1. ლაგოდეხის ზონაში ღია ეთერით 1 მგბტ წამით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 223 ლარს , ხოლო 2,15 მგბტ წამში 480 ლარი დღგს გარეშე;

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1. აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს: ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ბ) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი, დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა;

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2019 წლის 1 აპრილიდან და მოქმედებს 2021 წლის 1 აპრილამდე;

შპს „ეკომი“

სამაუწყებლო კომპანია „ლტვ“ დირექტორი /დ. ხუბულავა/